დანართი N1

სააუქციონო პირობები

აუქციონში გამარჯვებულმა პირმა:

ა) არაუმეტეს 2 (ორი) თვისა უზრუნველყოს, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების საერთო ადგილის კეთილმოწყობა (დახაზვა, ნიშნებისა და საინფორმაციო დაფების დაყენება და პარკირების ადგილის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მათ შორის მიწის ნაკვეთზე ბეტონის საფარის დაგება).

ბ) პარკირების ადგილის მიმართ, რომელიც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლებას, პარკირების ორგანიზების მიზნით:

ბ.ა) უზრუნველყოს პარკირების ადგილის მიზნობრივად გამოყენება.

ბ.ბ) უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის მომზადება. კერძოდ: საგზაო მონიშვნების დახაზვა, საინფორმაციო დაფების და საგზაო ნიშნების მონტაჟი (პარკირების საერთო სადგომი, ინფორმაცია პარკირების ტარიფების შესახებ და სხვა სავალდებულო ნიშნებისა და დაფების დაყენება).

ბ.გ) უზრუნველყოს პარკირების ადგილზე ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების წესების დაცვა.

ბ.დ) დააწესოს კონტროლი პარკირების ადგილზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის წესების დაცვაზე.

ბ.ე) იჯარის ფორმით გადაცემული მიწის ნაკვეთის საზღვრებში არსებული პარკირების სადგომების 2/3-ზე უსასყიდლოდ უნდა განხორციელდეს მუნიციპალური ან/და საქალაქო სამარშუტო მიკროავტობუსების პარკირება. აღნიშნული შეიძლება შეიცვალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით, არსებული საჭიროებიდან გამომდინარე.

ბ.ვ) დააწესოს პარკირების ადგილით სარგებლობისათვის საფასური, მათ შორის ,,ბ“ პუნქტის ,,ბ.ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სადგომებზე (პარკირების ფუნქციის შეუცვლელად) მუნიციპალური ან/და საქალაქო სამარშუტო მიკროავტობუსების შესაბამის სამარშუტო ხაზებზე (მარშრუტი) მოძრაობის დასრულების შემდგომ, ხოლო პარკირების საფასურის ოდენობა განისაზღვრება ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2014 წლის 7 ივლისის, N 14/18 დადგენილების შესაბამისად. ფასიანი პარკირების ადგილების გამოყენება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი მომხმარებლისათვის.

ბ.ზ) იჯარის ფორმით გადაცემული მიწის ნაკვეთის საზღვრებში მოაწყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელი და პარკირების მომსახურებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებული ესკიზის/პროექტის შესაბამისად, რომლის მოვლა-პატრონობა უნდა განხორციელდეს მოიჯარის მიერ უსასყიდლოდ, ხოლო საიჯარო ურთიერთობის დასრულების შემდგომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელი და მიწის ნაკვეთზე შექმნილი ქონება გადმოეცემა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში. ამასთან, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელით სარგებლობა ნებისმიერი მომხმარებლისათვის უნდა იყოს უსასყიდლო.

ბ.თ) აუქციონში გამარჯვებულს გარე ვაჭრობის უფლება ექნება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილ სადღესასწაულო დღეებში.

ბ.ი)მოიჯარის მიერ მის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის გარე ვაჭრობისათვის ან არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში მოიჯარე ვალდებულია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს, წერილში მითითებულ შესაბამის სახაზინო კოდზე 10 000.00 (ათი ათასი)

ლარის გადახდა, ხოლო აღნიშნული თანხის დადგენილ ვადებში გადაუხდელობის ან/და დარღვევის განმეორებით გამოვლენის შემთხვევაში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია მოიჯარესთან გაფორმებული სარგებლობის (იჯარის) ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვიტოს. აღნიშნული არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე თუ მესამე პირების მიერ მოიჯარის სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის ფაქტების შემჩნევის/აღმოჩენის ან არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ შეატყობინებენ ერთმანეთს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. აღნიშნული ასევე არ ვრცელდება სადღესასწაულო დღეებში მოიჯარის მიერ მის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გარე ვაჭრობის განხორციელებაზე.

ბ.კ)პარკირების საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათ შორის შესაძლებელია გადახდის ელექტრონული ფორმის გამოყენებაც.

ბ.ლ) პარკირებისთვის გამოყოფილ ადგილზე უზრუნველყოს ვიდეო-სათვალთვალო მოწყობილობ(ებ)ის განთავსება-მონტაჟი 2 (ორი) თვის ვადაში.

ბ.მ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების საერთო ადგილზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის განკუთვნილი სადგომების გამოყოფა (მათ შორის: საგზაო მონიშვნების დახაზვა, საინფორმაციო დაფების და საგზაო ნიშნების მონტაჟი (პარკირება მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის) და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე პარკირების ადგილის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული შემდეგი საქმიანობა:

გ.ა) საინფორმაციო დაფებისა და ნიშნების მუდმივი განახლება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი აღდგენა ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში, უმოკლეს ვადაში. აღდგენა ან ახლით შეცვლა, უმოკლეს ვადაში.

გ.ბ) პარკირების საერთო ადგილის კუთვნილ საზღვრებში არსებული მიწის ნაკვეთის ზედაპირისა და მონიშვნითი სამუშაოების მუდმივი აღდგენა-რეაბილიტაცია.

გ.გ) უზრუნველყოს პარკირების ორგანიზების უფლების მინიჭების აქტით გათვალისწინებული სხვა ვალდებულების შესრულება.

დ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას სარგებლობის (იჯარის) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ გაასხვისოს, მათ შორის არ გასცეს სარგებლობის უფლებით მიწის ნაკვეთი მესამე პირებზე.

ე)სარგებლობის (იჯარის) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო მიაწოდოს მუნიციპალიტეტს ინფორმაცია გაწეული საქმიანობის შესახებ, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს ინფორმაცია/დოკუმენტაცია მიწის ნაკვეთზე გაწეული ხარჯების შესახებ.

ვ) არ დააზიანოს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილი პარკირების საერთო ადგილის მიმდებარედ გამავალი მიწისქვეშა/მიწისზედა კომუნიკაციები.